



სააპელაციო საბჭოს
ბადაყვივთილიება
ქ. თბილისი



MES 5 21 0000714555



15/07/2021

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2021 წლის 1 ივლისს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის - №654853, №655982) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2021 წლის 31 მაისის №501200 და 22 ივნისის №612591 ოქმებში მოცემული გადაწყვეტილებების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება შპს თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვის შედეგად, დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად 60 დღის განსაზღვრის გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.


2021 წლის 12 ივლისს, სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/წ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 28³ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას განსახილველად შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის 2021 წლის 1 ივლისის №654853, №655982 სააპელაციო საჩივარი „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.
2. სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის სხდომის №714552 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
მდივანი
საბახტარიშვილი ანა

